# ტექნიკური მოთხოვნა

- **მომსახურების გაწევის ადგილი:** საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, მინდელის ქუჩა, N3 (ს/კ: 01.14.01.007.327) (https://maps.app.goo.gl/4iAzPnU2ys1sDmGj7)
- **მომსახურების გაწევის დრო ყოველდღიური სამუშაოებისთვის:**
  - **ყოველდღიური სამუშაოებისთვის** - ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით, 19:00-დან მომსახურების შესრულებამდე.
  - **ყოველთვიური სამუშაოებისთვის** - ყოველი კალენდრული თვის ბოლო შაბათი-კვირა დღე.
  - **გენერალური დასუფთავებისთვის** - გამარჯვებულ კომპანიასთან შეთანხმებით.

- **ოფისის დასუფთავება უნდა მოიცავდეს ქვემოთ მოცემულ მომსახურებებს:**

| N | დასუფთავების ტიპი | პერიოდულობა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | ოფისის საოფისე ხალიჩის მშრალი წესით წმენდა | ყოველდღიური სამუშაო | 3,500 კვ.მ |
| 2 | საოფისე ტერიტორიაზე ნაგვის ურნების დაცლა / პარკების შეცვლა / ნაგვის გადაყრა | ყოველდღიური სამუშაო | 20 ცალი - 12 ლიტრიანი ნაგვის ურნა (ყავის კუთხე)<br>40 ცალი - 10 ლიტრიანი ნაგვის ურნა (საპირფარეშო)<br>230 ცალი - 8 ლიტრიანი ნაგვის ურნა (საოფისე სივრცე) |
| 3 | აივნების მშრალი წესით წმენდა | ყოველდღიური სამუშაო | 405.00 კვ.მ |
| 4 | საფერფლის დაცლა / სველი წესით წმენდა | ყოველდღიური სამუშაო | 57 ცალი |
| 5 | სათათბირო ოთახების დასუფთავება (მაგიდების და მონიტორების წმენდა) | ყოველდღიური სამუშაო | 185.00 კვ.მ |
| 6 | სველი წერტილების სრული დასუფთავება სველი წესით და შესაბამისი ქიმიური ხსნარებით (1 უნიტაზი-1 ხელსაბანი) | ყოველდღიური სამუშაო | 39 წერტილი |
| 7 | სველი წერტილების დისპენსერების შევსება | ყოველდღიური სამუშაო | 43 ცალი - ხელის დისპენსერი<br>39 ცალი - ტვალეტის დისპენსერი<br>41 ცალი - საპნის დისპენსერი |
| 8 | ნიჟარების წმენდა სველი წესით და შესაბამისი ქიმიური ხსნარებით (მინი სამზარეულო კუთხე) | ყოველდღიური სამუშაო | 8 წერტილი |
| 9 | ხელსაბანების წმენდა სველი წესით და შესაბამისი ქიმიური ხსნარებით | ყოველდღიური სამუშაო | 4 წერტილი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 | ყავის კუთხით დასუფთავება (საჭიროების შემთხვევაში სველი წესით დასუფთავება), გამოყენებული ჭურჭლის მინი სამზარეულო კუთხეში გადატანა ან სამზარეულო ოთახის ნიჟარაში ჩალაგება | ყოველდღიური სამუშაო | 10 წერტილი |
| 11 | **(საჭიროების შემთხვევაში)** (ოფისის მიმდებარე გარე ტერიტორიის მშრალი წესით დასუფთავება (საფარის ტიპი: ქვაფენილი) /ნაგვის ურნების დაცლა-პარკების შეცვლა / ნაგვის გადაყრა (ნაგვის ურნის რაოდენობა 2 ცალი) | ყოველდღიური სამუშაო | 50 კვ.მ |
| 12 | კიბის უჯრედების მშრალი და სველი წესით წმენდა | ყოველდღიური სამუშაო | 300 კვ.მ |
| 13 | ლიფტის დასუფთავება (იატაკის მშრალი და სველი წესით წმენდა, სარკის წმენდა, პანელის წმენდა) | ყოველდღიური სამუშაო | 1 სამგაზვრო ლიფტი<br>1 სატვირთო ლიფტი |
| 14 | სამზარეულო ოთახის წმენდა (ვინილის იატაკის დასუფთავება მშრალი და სველი წესით, მაგიდებისა და სამზარეულო ავეჯის წმენდა) | ყოველდღიური სამუშაო | 106 კვ.მ<br>18 სამზარეულოს მაგიდა |
| | | | |
| 15 | საოფისე ხალიჩის მშრალი ქიმწმენდა (ინსტრუქციის მიხედვით) | ყოველთვიური სამუშაო | 3,500 კვ.მ |
| 16 | აივნების კაპიტალური დასუფთავება (აივნის მოაჯირების სველი წესით წმენდა, იატაკის შესაბამისი აპარატებით/ტექნიკით ქიმიური დამუშავება/მოხეხვა/წმენდა) | ყოველთვიური სამუშაო | 405 კვ.მ |
| 17 | კიბის უჯრედების კაპიტალური დასუფთავება (მოაჯირების სველი წესით წმენდა, იატაკის შესაბამისი აპარატებით/ტექნიკით ქიმიური დამუშავება/მოხეხვა/წმენდა) | ყოველთვიური სამუშაო | 300 კვ.მ |
| 18 | ფანჯრების / კარებების/ ვიტრინების შუშებისა და ჩარჩოების გარე/შიდა წმენდა | ყოველთვიური სამუშაო | 554 კვ.მ<br>(გარე ვიტრაჟი) |
| 19 | ყრუ შუშების გარე წმენდა (ალპინისტების სამუშაო) | ყოველთვიური სამუშაო | 95 კვ.მ |
| | | | |
| 20 | ჭერის წმენდა (მშრალი, საჭიროების შემთხვევაში სველი წმენდა, შესაბამისი ხსნარით რომელიც არ დააზიანებს მასალას) | გენერალური დასუფთავება (კვარტალური) | შეფასებისთვის გთხოვთ განახორციელოთ ვიზიტი ოფისში |
| 21 | ჭერის გაყვანილობის წმენდა (მშრალი, საჭიროების შემთხვევაში სველი წმენდა, შესაბამისი ხსნარით რომელიც არ დააზიანებს მასალას. გაყვანილობა მოიცავს: კაბელარხებს, გათბობა-გაგრილების ვენტილაციის აგრეგატებს-ცხაურებს, სახანძრო მილებს) | გენერალური დასუფთავება (კვარტალური) | შეფასებისთვის გთხოვთ განახორციელოთ ვიზიტი ოფისში |

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 | სანათების წმენდა მშრალი წესით (საჭიროების შემთხვევაში სველი წესით წმენდა რომელიც არ დააზიანებს სანათს) | გენერალური დასუფთავება (კვარტალური) | შეფასებისთვის გთხოვთ განახორცილეოთ ვიზიტი ოფისში |
| 23 | კედლების წმენდა (მშრალი, საჭიროების შემთხვევში სველი წმენდა, შესაბამისი ხსნარით რომელიც არ დააზიანებს მასალას) | გენერალური დასუფთავება (კვარტალური) | შეფასებისთვის გთხოვთ განახორცილეოთ ვიზიტი ოფისში |
| 24 | ოფისის იატაკისა და პლინტუსების შესაბამისი ტექნიკით/აპარატურით ქიმწმენდა | გენერალური დასუფთავება (კვარტალური) | შეფასებისთვის გთხოვთ განახორცილეოთ ვიზიტი ოფისში |
| 25 | ოფისის ბანერებისა და აბრების მტვრისგან წმენდა | გენერალური დასუფთავება (კვარტალური) | შეფასებისთვის გთხოვთ განახორცილეოთ ვიზიტი ოფისში |
| 26 | ოფისში არსებული ნაჭრის/ტყავის ავეჯის მშრალი მეთოდით შესაბამისი ხსნაერებით ქიმწმენდა. მყარი ავეჯის სველი წესით წმენდა შესაბამისი ხსნარებით. | გენერალური დასუფთავება (კვარტალური) | შეფასებისთვის გთხოვთ განახორცილეოთ ვიზიტი ოფისში |

**დამატებითი მოთხოვნები:**

1. **გამოცდილება:**
   გამარჯვებულ პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 2 (ორი) წლიანი გამოცდილება მსგავსი ტიპის მომსახურების სფეროში.
2. **სპეციფიკაციის დაცვა:**
   რბილი იატაკის ქიმიური წმენდისას პრეტენდენტი ვალდებულია დაიცვას **დანართი N3**-ით განსაზღვრული მოთხოვნები.
3. **ლიცენზიები და უსაფრთხოება:**
   პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ყველა შესაბამისი ლიცენზია და/ან სერტიფიკატი მომსახურების შესასრულებლად. ამასთანავე, იგი ვალდებულია დაიცვას შრომის უსაფრთხოების ყველა ნორმა, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნული მომსახურების შესრულებასთან.
4. **სახარჯი მასალები და მარაგების მართვა:**
   გამარჯვებული კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა საკუთარი სახარჯი მასალებით, მათ შორის ქიმიური საშუალებებითა და სანიტარულ-ჰიგიენური ნივთებით.
   ცხრილში განსაზღვრული **N2** და **N7** პოზიციების შემთხვევაში, კომპანია უზრუნველყოფს საჭირო საქონლის მიწოდებას. (კომპანიის მხრიდან გამოყოფილი იქნება შესაბამისი სივრცე, სადაც შემსრულებელს ექნება საშუალება შეინახოს სახარჯი მასალები და აწარმოოს მარაგების მონიტორინგი.)
5. **ქიმიური საშუალებების სტანდარტები:**
   გამოყენებული ქიმიური საშუალებები უნდა იყოს ქარხნული წარმოების, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტაციით.
6. **ტექნიკური აღჭურვილობა:**
   პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მომსახურების განსახორციელებლად საჭირო ტექნიკა, მათ შორის:
   - მტვერსასრუტი
   - პროფესიონალური ქიმიური წმენდის აპარატი
   - მინის საწმენდი მოწყობილობა (საჭიროების შემთხვევაში)
   - იატაკის საწმენდი და პოლირების აპარატი და სხვა შესაბამისი ტექნიკა

7. **კოორდინატორი პირი:**
გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა დანიშნოს პასუხისმგებელი საკონტაქტო პირი, რომელიც წარმართავს პროცესს, ზედამხედველობას გაუწევს მომსახურებას და პერიოდულად ჩააბარებს ანგარიშს დამკვეთის შესაბამის წარმომადგენელთან.
8. **ქონებრივი პასუხისმგებლობა:**
მომსახურების შესრულების პროცესში, პრეტენდენტის მხრიდან კომპანიის ქონების დაზიანების შემთხვევაში, ვალდებულია უზრუნველჰყოს დაზიანებული ქონების შეკეთება ან ჩანაცვლება საკუთარი ხარჯებით.
9. **არაგეგმიური წმენდა**
კომპანიის მხრიდან რბილი იატაკის არაგეგმიური ქიმიური წმენდის მოთხოვნის შემთხვევაში, გამარჯვებულმა კომპანიამ მომსახურება უნდა განახორციელოს მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს მომდევნო კალენდარულ დღეს.